ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1932771

ნომერი: AR1311503

თარიღი : 19.05.2015

გაცემის თარიღი : 03.06.2015

გაცნობის თარიღი : 05.06.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდი დიღომის ტერიტორია" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გია მურაჩაშვილი პ/ნ 01019011728
- თბილისი ჭ.ლომთათიძის ქ. N 82

ორგანიზაცია:
- ოქროს ხანა კოდი: 400121408

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

გია მურაჩაშვილის 2015 წლის 19 მაისის #AR1311503 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 19 მაისს #AR1311503 განცხადებით მომართა შპს "ოქროს ხანას" დირექტორმა გია მურაჩაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 27 დეკემბრის #1039697 გადაწყვეტილების და ამავე სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. მოგვიანებით, ამავე წლის 02 ივნისს, ამავე განცხადებაზე ელექტრონული შეტყობინებით მომართა გია მურაჩაშვილმა და მოითხოვა 2015 წლის 19 მაისის #AR1311503 განცხადების განუხილველად დატოვება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს. 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მოთხოვნას. ვინაიდან, განმცხადებელმა უარი თქვა მოთხოვნაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება გია მურაჩაშვილის 2015 წლის 19 მაისის #AR1311503 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის, VI თავის, 78-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ნ ე ბ:

1. განუხილველი დარჩეს გია მურაჩაშვილის 2015 წლის 19 მაისის #AR1311503 განცხადება;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი, #6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან, ერთი თვის ვადაში.